ხელშეკრულება N 11

(კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურებები)

ქ. თბილისი

30 აპრილი 2012 წ.

სსიპ - სოფ. დღვანის საჯარო სკოლა, (შემდგომში „დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მანანა ტარიელაძის სახით ერთის მხრივ და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების მართვის საინფორმაციო სიტემა (შემდგომში „შემსრულებელი"), წარმოდგენილი მისი უფროსის გიორგი გულუას სახით მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა (CPV: 72500000).

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 1520 ლარს,
2. ხელშეკრულებით განსაზღვრული კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის ღირებულება თვეში შეადგენს 190 (ასოთხმოცდაათი) ლარს.
3. მომსახურების გაწევა დასტურდება შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის მ-1-საბამისად.

დამკვეთი ვალდებულია შემსრულებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება გადაუხადოს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ყოველი საანგარიშო თვის 28 რიცხვამდე, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედება

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 1 მაისიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. დამკვეთი ვალდებულია:

1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები შემსრულებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება.

2. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1. დაწესებულების ლოკალური/გლობალური კომპიუტერული ქსელის გამართვა და ფუნქციონირების ხელშეწყობა, შესაბამის ინციდენტებზე რეაგირება და შემდგომი მონიტორინგი;

2.2. დაწესებულების კომპიუტერული ტექნიკის დიაგნოსტიკა/მხარდაჭერა (ოპერაციული სისტემისა და სხვა საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალირება, პრობლემების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა, პერიფერიული აპარატურის კომპიუტერებთან მიერთება და გამართვა, სისტემის ბუკაპირება და აღდგენა);

2.3. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულების ადმინისტრაციისათვის კონსულტაციის გაწევა ტექნიკის (კომპიუტერის სათადარიგო/სახარჯო ნაწილების, პერიფერიული მოწყობილობების და სხვ.) შესყიდვასთან დაკავშირებით.

3. დამკვეთი უფლებამოსილია:

მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება.

4. შემსრულებელი უფლებამოსილია:

მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:
1.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა;
1.2. მხარეთა შეთანხმება;
1.3. მხარეების ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.
2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება
1. ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმების საფუძველზე.
2. მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების შესახებ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა
ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის წარმოშობილი დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთშეთანხმებით. ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი
მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. სხვა პირობები
ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:	შემსრულებელი:
სსიპ - სოფ. დღვაწის საჯარო სკოლა	სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა"
მის: სოფ. დღვანი	მის.: ქ. თბილისი ფანჯიკიძის ქ.1ა
ტელ: 877175712. 890256410	ს/კ 205300048;
ს/კ 247868240	ბანკი: ს.ს. საქართველოს ბანკის ც/ფ
საბანკო რეკვიზიტები:	ბანკის კოდი: BAGAGE22
სახალხო ბანკის შუახევის ფილიალი	ა/ა: GE71BG0000000524958100
ბანკის კოდი: 220101445	
ა/ა 34080043	
დირექტორი	უფროსი:
მანანა ტარიელაძე	გიორგი გულუა
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)